



მაია

ჰაჩაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/შედეგა

2

1985-1995 წლებში მაია ვაჩაძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე. 1995 წელს იგი დაინიშნა

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

11

გლდანის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და საკორპორაციო სამართლის მოსამართლედ. 1998-1999 წლებში მაია ვაჩაძე იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 1999 წლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული პილდობები / სტიპენდიები

11

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

12

კანდიდატის საპარო აქტივობები / კორუფციები და შედეგა

13

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

19



ლია
საზოგადოების
ფონდი

1

კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: ინფორმაციის გასაიდუმლოება და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.¹

ფაქტები: 2011 წლის 7 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მოსამართლე მაია ვაჩაძის მონაწილეობით (შემადგენლობა: ლევან მურუსიძე; პაატა სილაგაძე), დაუშვებლად ცნო ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ საკასაციო საჩივარი. ასოციაცია მოითხოვდა, საჯარო ინფორმაციის სახით გადაეცათ იმ ხელშეკრულების ასლი, რომელიც გაფორმებული იყო საქართველოს მთავრობას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის და შეეხებოდა „რუსთავწყალკანალის“, „მცხეთაწყალკანალის“, „საქწყალკანალისა“ და თბილისის წყლის“ 100%-იანი წილების ნასყიდობას.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის გამო.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად ლეგიტიმური იყო კონსტიტუციით გარანტირებული უფლების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ არ იყო დაცული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პროცედურა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობისათვის.

გადაწყვეტილება:

- სახელმწიფო ქონების პრივატიზების ხელშეკრულების მხარე, კერძო პირი, ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაცია იყო მისი კომერციული საიდუმლოება. ამის საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა მოსარჩელეს ხელშეკრულების ასლების გადაცემაზე.

¹ საკასაციო სასამართლომ, იმავე შემადგენლობითა (თავმჯდომარე: ლევან მურუსიძე; მოსამართლეები: მაია ვაჩაძე, პაატა სილაგაძე) და 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მიერ შპს „ვარციხე 2005“-ის 100%-იანი წილის პრივატიზების ხელშეკრულების გასაიდუმლოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ. ზემოაღნიშნულ დავაში გამოიკვეთა ისეთივე სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც განიხილეს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების შეფასებისას.

- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ შეაფასეს, რამდენად დაიცვეს შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კანონით გათვალისწინებული პროცედურა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობისათვის და არსებობდა თუ არა ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობა ზღუდავს ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, თუკი ის შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. დაინტერესებული პირის მითითება, რომ ინფორმაცია კომერციული საიდუმლოებაა, ავტომატურად არ აქცევს მას ასეთად; ასევე, არ წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, მიიღოს გადაწყვეტილება ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. კანონით, ასეთი პრეროგატივა ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სათანადო პროცედურით შეამოწმებს, ხომ არ არსებობს მისი საჯაროობისა და ღიაობის კანონით დადგენილი ვალდებულება.

- **სასამართლომ არ შეაფასა:** იყო თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული შინაარსი **გარემოსდაცვითი ინფორმაცია**, გამომდინარე ორჰუსის კონვენციიდან, რომელიც ფართოდ განმარტავს ამ ცნებას; შესაბამისად, უნდა ყოფილიყო თუ არა მასზე საჯარო წვდომა გარანტირებული.
- **სასამართლომ არ შეაფასა:** იყო თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შინაარსი **ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია**, რომელიც, კანონმდებლობით, ყოველთვის საჯაროა; ასევე, როგორ დგება ბალანსი კომერციულ ინტერესსა და საჯარო ინტერესს შორის და სხვა.

შენიშვნა: ამ საკითხებზე უზენაესი სასამართლოს საძიებო სისტემაში გადაწყვეტილებები არ იძებნება. არც დაუშვებლობაზე მიღებულ განჩინებაშია მითითებული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც დამტკიცდებოდა, რომ აღნიშნული დავა არ იყო სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ის ვერ აკმაყოფილებდა უზენაეს სასამართლოში დასაშვებობის კრიტერიუმებს.

სამართლებრივი საკითხი: ადმინისტრაციული ორგანოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა; ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის საფუძველი.

ფაქტები: 2017 წლის 14 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მოსამართლე მათა ვაჩაძის თავმჯდომარეობით, განიხილა ა(ი)პ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ საკასაციო საჩივარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

ამ ინსტიტუტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობაზე, მათ შორის, უწყების თანამშრომელთა ელექტრონული მიმოწერის ასლები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. **სამინისტრომ ინფორმაციის გაცემაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ ელექტრონული ფოსტით განხორციელებული კომუნიკაცია არ წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს.** შესაბამისად, მისი გაცემის ვალდებულება არ ჰქონდა.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მოთხოვნა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამინისტროს დაავალა მოთხოვნილი ინფორმაციის გასაჯაროება.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლოს პირველად მოუწია მსჯელობა, არის თუ არა საჯარო უწყების წარმომადგენელთა ელექტრონული მიმოწერა ოფიციალური დოკუმენტი და რამდენად ექ-

გემდებარება ის საჯარო ინფორმაციის ღიაობის კანონმდებლობით დადგენილ წესს.

გადაწყვეტილება:

- სასამართლომ ელექტრონული ფოსტა მიიჩნია „ოფიციალურ დოკუმენტად“, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობიდან² გამომდინარე, საჯარო ინფორმაციაა.
სასამართლომ განმარტა: „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა გულისხმობს ამ ელექტრონული რესურსის კონკრეტული, სპეციფიკური მიზნით გამოყენების აუცილებლობას და იგი მიმართულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესასრულებლად. [...] სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად, არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია და იგი აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.“
- საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსსა და საჯაროობის მნიშვნელობაზე. მან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ფუძემდებლურ პრინციპზე მითითებით (სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობა)³, გაიზიარა კასატორის („ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“) მოტივაცია.
მოსამართლემ მიუთითა: „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, როგორც წესი, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ფასთა კვლევის მიზნით. ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვანია, როცა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვები, ე.ი. როდესაც კანონი უშვებს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის განკარგვას ნაკლები საჯარო მონიტორინგის პირობებში.“
- საკასაციო სასამართლომ განიხილა სამსახურიდან გაგზავნილი და მიღებული „მეილების“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით⁴ დაცვის ფარგლები და, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე⁵ მითითებით, განმარტა, რომ არ შეიძლებოდა სადავო შინაარსის გაიგივება პირად ინფორმაციასთან.
- სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა ინფორმაციის ღიაობის მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში: „ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი, თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონშეუსაბამობას.“
- სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას, რისი შეზღუდვაც ჩარევას მათი, როგორც „საზოგადოებრივი

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2.1, ქვეპუნქტი „მ“: „საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე, საჯარო დაწესებულების მიერ პრაქტიკულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.“

³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2, ქვეპუნქტი „დ“.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 20 (2017 წლის მდგომარეობით).

⁵ NIEMIETZ v. GERMANY; no. 13710/88; 16 დეკემბერი, 1992; სტრასბურგი. HALFORD v. THE UNITED KINGDOM; no. 20605/92; 25 ივნისი, 1997, სტრასბურგი.

მეთვალყურის“ ფუნქციებში. ამ მოსაზრების გამოთქმისას სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე **TAZC v. Hungary** (საქმის სახელწოდების სრულყოფილი ციტირების გარეშე).

შენიშვნა: საქმე **TAZC v. Hungary** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში არ იძებნება. არსებობს ამავე სასამართლოს მიერ მიღებული ორი გადაწყვეტილება უნგრეთის წინააღმდეგ, სადაც სასამართლო საუბრობს საზოგადოებრივი მეთვალყურის როლზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან კავშირში: **Magyar Helsinki Bizottság v. Hungary** (no. 18030/11), 2016, ასევე **Társaság a Szabadságjogokért v. Hungary** (No. 37374/05), 2009.

სამართლებრივი საკითხი: დისკრიმინაციის თაობაზე დავის განსჯადობა.

ფაქტები: 2016 წლის 22 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მანია ვაჩაძის მონაწილეობით, მიიღო განჩინება პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განსჯადობაზე.

სარჩელი შეეხებოდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის დავალებასა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მოპასუხის, საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან. **მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა განხორციელდა განსხვავებული აზრის გამოთქმისა და პროფკავშირებისადმი კუთვნილების გამო.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და წარმოებაში მიიღეს, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და დისკრიმინაციული ქმედებების შეწყვეტის დავალების ნაწილში განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ამ კოლეგიამ საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად გაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ კი დავის განხილვა დაუქვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქმის მნიშვნელობა: საქმეში სასამართლო მსჯელობს დისკრიმინაციის შესახებ დავის განსჯადობაზე უფლებამოსილი კოლეგიის მიერ.

გადაწყვეტილება:

- მოსამართლემ განმარტა: „**დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში. შესაბამისად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი.**“
- თუმცა, ამ საქმეში მოსამართლემ ხაზი გაუსვა კავშირს გასაჩივრებულ აქტსა და დისკრიმინაციის საკითხს შორის და მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო აქტის კანონიერების ფარგლები ვერ შემოწმებოდა დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობისაგან განყენებულად.
- „**მოსარჩელე უთითებს, რომ პროფკავშირისადმი კუთვნილებისა და განსხვავებული აზრის გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, არამართლზომიერად დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - არ მიეცა პრემია. მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობის, სადავო**

აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში, უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ან აქტის გამოცემაზე უარის თქმით.“

- სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: მისი თქმით, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავები არ უნდა მოექცეს მხოლოდ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადობის სფეროში. ეს გამოიწვევს საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხების გამოსვლას ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს სფეროდან.

„დავის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, ხშირ შემთხვევაში, გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მიერ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით.“

სამართლებრივი საკითხი: ტრანსსექსუალი პირის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება („მდედრობითის“ შეცვლა „მამრობითით“), ანუ პიროვნების გენდერის სამართლებრივი აღიარება, როგორც ადამიანის უფლება.

ფაქტები: ტრანსგენდერმა პირმა სასამართლოს სარჩელით მიმართა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ წინააღმდეგ. კერძოდ, სააგენტომ უარი უთხრა მას დაბადების მოწმობაში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლაზე („მდედრობითის“ ჩანაცვლებაზე „მამრობითით“). დაბადების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე, როგორც პირადობის მოწმობაში, ისე პიროვნების მაიდენტიფიცირებელ სხვა დოკუმენტებში, მითითებული იყო „მდედრობითი“ სქესი. ეს რეალობა არაერთი სირთულის წინაშე აყენებდა მოსარჩელეს, ვინაიდან წაახალისებდა მის მიმართ დისკრიმინაციას იდენტობის საფუძველზე.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ წინააღმდეგ არ დააკმაყოფილეს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლომ წინაშე პირველად დადგა საკითხი, რომ ემსჯელა გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე და განემარტა, რამდენად სწორია, როდესაც კანონში „სქესის შეცვლა“ იმპერატიულად განიმარტება, როგორც ქირურგიული ოპერაცია.

განჩინება (დაუშვებლობის შესახებ):

- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

შენიშვნა: უზენაესი სასამართლო უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა ქვეყნის შიგნით (საერთო სასამართლოების სისტემაში). მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია გახლავთ კომპლექსური სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა და სამართლის განვითარება. ამ პროცესში სასამართლო, ბუნებრივია, ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე და სხვა ქვეყნებში არსებულ პროცესებსა და ხედვებს, თუმცა არ არის შეზღუდული, რომ თვითონ განავითაროს სამართალი. ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღებისას ხშირად ანალიზებს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში არსებულ ხედვებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სამართალი არ ვითარდება მხოლოდ საერთო ევროპული დონიდან ქვემოთ, ეროვნული დონისაკენ, და ხშირად პირიქითაც ხდება.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო. ამავდროულად, იგი მუდმივად ხაზს უსვამს, რომ კონვენცია სახელმწიფოებს უწესებს ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტს, რომლის ქვემოთაც ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა არ უნდა ჩამოვიდეს. სახელმწიფოებს სრული თავისუფლება აქვთ, დააწესონ ევროპული კონვენციით დადგენილზე მაღალი სტანდარტები და არაფერი კონვენციაში არ უნდა განიმარტოს ამის დამაბრკოლებელ გარემოებად.⁶

სამართლებრივი საკითხი: რეორგანიზაცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები, ნორმატიული აქტების იერარქია.

ფაქტები: საქმე ეხებოდა პირის სამსახურიდან გათავისუფლებას რეორგანიზაციის საფუძვლით. მოსარჩელე ასაჩივრებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 21 მარტის #1/109 აქტს, რომლის საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლოში განხორციელდა რეორგანიზაცია და შემოიღეს **სამდივნოს უფროსის** თანამდებობა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ამგვარი პოზიციის შექმნით, საბჭოს ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილებას „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“. ეს დადგენილება ამომწურავად განსაზღვრავს წამყვან საჯარო თანამდებობებს და მათ რანჟირებას სასამართლო სისტემაში. მოსარჩელის მოსაზრებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტი სასამართლოს უნდა გამოეცხადებინა ბათილად; ასევე, ის ითხოვდა თანამდებობაზე აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას.

საქმის მნიშვნელობა: საქმეში მოსარჩელე ითხოვდა სასამართლო კონტროლს ამ სისტემაში ადმინისტრირების ფუნქციის მქონე უმაღლესი კონსტიტუციური ორგანოს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ქმედების კანონიერებაზე.

განჩინება:

- **უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად ცნო.**
- სასამართლო აღნიშნავს: „ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა“. ამის დასადასტურებლად, სასამართლო მიუთითებს „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 49-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებაზე, დაამტკიცოს საქართველოს საერთო სასამართლოების (უზენაესი სასამართლოს გარდა) **აპარატების სტრუქტურა და საშტატო რაოდენობა**.
- **განჩინებაში საერთოდ არ არის ნახსენები მთავრობის დადგენილება, რომელზეც მოსარჩელე აპელირებდა. შესაბამისად, საქმის მასალების გაცნობის გარეშე, შეუძლებელია, მკითხველმა გაიგოს, რა იყო მომჩივნის მთავარი არგუმენტი, რის საფუძველზეც ითხოვდა აქტის ბათილობას. განჩინებაში ასევე არ არის მითითებული, თუ როგორ განმარტეს და დაასაბუთეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საბჭოს უფლებამოსილება, შემოეღო ახალი თანამდებობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.**

შენიშვნა: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის დადგენილება N 576 „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ ამომწურავად განსაზღვრავს წამყვან საჯარო

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 53; იხ. ასევე სტატია: <https://human-rights-law.eu/echr/echr-introduction/>

თანამდებობებს სასამართლო სისტემაში. ამ ჩამონათვალში საჯარო თანამდებობის პირი - **სამდივნოს უფროსი** - მითითებული არ არის.

განჩინებაში სასამართლო ციტირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით.⁷ კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **სასამართლოს ვალდებულება, დაასაბუთოს გადაწყვეტილება, არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ვალდებულება, დეტალური პასუხი გაეცეს ყველა საკითხს.**

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ასეთი მითითება მეტად შაბლონური პრაქტიკაა საერთო სასამართლოების სისტემაში. სწორედ ამ საქმეებზე მიუთითებს შესწავლილი გადაწყვეტილებების უმრავლესობა, როდესაც მოსამართლე განიხილავს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან („სამართლიანი სასამართლო“) დაკავშირებულ საკითხებს. ამ საქმეს მოსამართლეები მოიხმობენ იმის დასტურად, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება არ გულისხმობს „თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნას.“ თუმცა, ამავე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი არიან, „საკმარისი სიზუსტით განსაზღვრონ მოტივები“, რომლებსაც თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი არცერთ სხვა საქმეზე, რომლებშიც შაბლონურად მიეთითება მოცემული გადაწყვეტილება, სასამართლოს ციტირებული არ აქვს.

სამართლებრივი საკითხი: დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა; მორალური ზიანის ანაზღაურება.

ფაქტები: 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მოსამართლე მაია ვაჩაძის თავმჯდომარეობით, მიიღო გადაწყვეტილება **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრასა და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე.**

კასატორი გეგმავდა ქალაქ ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას, რისთვისაც სპეციალურად დაქირავებულ შენობაში სარემონტო სამუშაოები დაიწყო, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა: მაგალითად, ერთ დღეს ადგილობრივებმა, პანსიონის ფუნქციონირებისათვის ხელის შესაშლელად, მის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად მიაჭედეს შენობის კარზე, წინ კი რკინის დიდი ჯვარი აღმართეს. ადგილობრივი მოსახლეობა პერმანენტულ აქციებს მართავდა პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2014 წლის 15 სექტემბერს, როცა პანსიონი ოფიციალურად უნდა გახსნილიყო, აქციის მონაწილეებმა ეზოში შესასვლელი გზა ხის კონსტრუქციებითა და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დააწესეს. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უშედეგო მცდელობათა შემდეგ, პანსიონის შენობასთან განლაგდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რათა თავიდან აეცილებინათ ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება მოსახლეობაში. ამ პერიოდში პოლიციის თანამშრომლებისთვის დასახმარებლად არავის მიუმართავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ დავის დროსაც კი პანსიონით სარგებლობა კასატორსა და პანსიონის მოსწავლეებს არ შეეძლოთ.

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ“, N7932/03, 2009 წ.

კასატორი საჩივარში მიუთითებდა, რომ დანაშაულებრივ ფაქტებზე ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირება პოლიციის მხრიდან საერთოდ არ განხორციელებულა; არაეფექტიანი იყო მონიტორინგიც.

კასატორს სასამართლოს მიმართ ჰქონდა შემდეგი მოთხოვნები: 1. პანსიონის შენობის წინ აღმართული ბარიერის მოხსნა; მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა/საქმიანობა შენობაში. 2. მოსარჩელების, ასევე, პანსიონის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მუსლიმი თემის წარმომადგენელთა სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტების აღკვეთა; პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის აღკვეთა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ხელშეშლელი ფიზიკური პირებისათვის მორალური ზიანის სოლიდარულად დაკისრება. კასატორები ასევე ითხოვდნენ დადგენას, რომ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოიხატა.** ისინი მიიჩნევდნენ, რომ მუსლიმი თემის უფლებებისადმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდეფერენტულობისა და ზედაპირული დამოკიდებულების გამო, მოხდა მათი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობაზე (მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე) პოლიციის თანამშრომელთა უმოქმედობის გამო, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე.

გადაწყვეტილება:

- სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან **დისკრიმინაციული ქმედებების მტკიცების ტვირთი სრულად ეკისრებოდათ კასატორებს.**

შენიშვნა: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³ მუხლის თანახმად, „სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.“

- აღნიშნული მსჯელობის განსამტკიცებლად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე **Nachova and Others v. Bulgaria**. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „ევროპული სასამართლო მეტად მაღალი ხარისხით ითხოვს განმცხადებლებისგან დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას. მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლო ადგენს ყველაზე მაღალ სტანდარტს – „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“.

შენიშვნა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე **Nachova and others v. Bulgaria** ეხება მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას. აღსანიშნავია, რომ მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი კონტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება განსახილველი საქმისაგან. **მითითებულ საქმეში არსებითი იყო პოლიციის მიერ ძალის გამოყენების ფაქტი, ე.ი. აქტიური ქმედება, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვა.** სასამართლოს განმარტებით, იმ ვითარებაში ძალის გამოყენება ეყრდნობოდა კანონიერ საფუძველს, თუმცა ძალის გამოყენების მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს ჰქონდა გარკვეული ხარვეზები. ამ საქმეში კი პირიქით – საკითხი ეხებოდა პოლიციის უმოქმედობას, მაშინ, როდესაც კანონით ევალეობოდა მოქმედება. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სწორედ დისკრიმინაციული მოტივი განაპირობებდა პოლიციის უმოქმედობას.

- სასამართლო აღნიშნავს: „საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსარჩელეთა უფლებების დაცვას ახორციელებდა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პარალელურად.“ აღნიშნული მსჯელობა პრობლემურია, ვინაიდან რჩება შთბეჭდილება, თითქოს უფლების განხორციელებისათვის აქტიურ ხელშეშლას სასამართლო მიიჩნევს გამოხატვის თავისუფლების ნაწილად.
- სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში სწორედ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა:
„რაც შეეხება კასატორთა მტკიცებას იმის თაობაზე, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული საშუალება არ ამართლებდა მიზანს და პოლიციის 24-საათიანი მორიგეობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს პანსიონით სარგებლობა, მიუთითებს პოლიციის მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში გამოყენებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოობაზე და არ ადასტურებს პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ“.

1.2. მახსოვრებული საქმეები

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, მათა ვაჩაძის შემადგენლობით, განიხილა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმე, რომელიც ეხებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილების საკუთრებას. ამ საქმეზე დიდი პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულ წრეებში კრიტიკის საგანი გახდა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის, რამაც არსებითი გავლენა იქონია საქმის საბოლოო შედეგზე, იძულება არასწორად ჩაითვალოს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად და ა.შ.

ასევე, ორგანიზაციის შეფასებით, სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების ასეთი ბუნდოვანი მითითება, გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და სამართლებრივი სისწორის კუთხით, კითხვის ნიშნებს აჩენს და ქმნის გაურკვევლობას, თუ რომელი ნორმა უნდა გამოიყენონ სასამართლოებმა მსგავსი ტიპის დავის გადაწყვეტისას მომავალში.

1.3. უზენაესი/საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

მოსამართლე საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილულ საქმეებში აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

2.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- სადისციპლინო კოლეგიას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოუყენებია. თუმცა, ფიქსირდება ერთი შემთხვევა: 2015 წელს შპს „მეტალინვესტის“ დამფუძნებელმა, მურთაზ უგულავამ, დისციპლინური საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, მაია ვაჩაძის, ნუგზარ სხირტლაძის და ლევან მურუსიძის მიმართ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ შემადგენლობამ არასწორად, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი.¹ ამ საჩივარზე (#253/15) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმისწარმოება შეწყვიტა.²

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

¹ „მეტალინვესტის“ ხმაურიანი საქმე - რა კავშირი აქვთ დავასთან ირაკლი ვზუგბაიას ცოლსა და ნიკა გილაურის ძმას?! იხ. <http://bit.ly/2MWXSJJ>

² „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეზე კვლევა და რეკომენდაციები გამოაქვეყნეს იხ. <http://bit.ly/2YTmzZw>

3.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჭილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1984-1985 წლებში მაია ვაჩაძე იყო თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს სტაჟიორი მოსამართლე, 1985 წლიდან - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონთა წიგნის მომზადების სამმართველოს რედაქტორი და უფროსი რედაქტორი, ხოლო 1987 წლიდან - სასამართლო ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი და უფროსი კონსულტანტი. 1989-1991 წლებში მაია ვაჩაძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის განყოფილების უფროს კონსულ-

ტანტად. 1991 წლიდან იყო ამავე სამინისტროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის სამმართველოს საინფორმაციო განყოფილების უფროსი, 1992-1995 წლებში კი – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი, იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი.

- 1995 წელს მათა ვაჩაძე დაინიშნა თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და საკორპორაციო სამართლის მოსამართლედ. 1998-1999 წლებში კი გახლდათ თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.
- 1999 წლის 20 ივლისიდან მათა ვაჩაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა. ამ თანამდებობაზე ის განმეორებითი ვადით აირჩიეს 2009 წლის 20 ივლისს.
- 2013-2019 წლებში მათა ვაჩაძე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე.
- მათა ვაჩაძეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა 2019 წლის 20 ივლისს ეწურებოდა, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 ივლისის გადაწყვეტილებით, ეს ვადა გაუგრძელდა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (მაგრამ არაუმეტეს შესაბამის ვაკანტურ ადგილზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე).¹

2. მიღებული ზილო / სტიპენდია

- მათა ვაჩაძეს არ აქვს მიღებული ზილო/სტიპენდია.

¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მათა ვაჩაძისთვის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ, იხ. <http://bit.ly/2KphGU7>

4.

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი მათა ვაჩაძე ნასამართლევი არ არის.
- მათა ვაჩაძის მიმართ ადმინისტრაციული სახდელი არ გამოყენებულა.
- სასამართლო დავებში მათა ვაჩაძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე მათა ვაჩაძე არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- მისი კავშირი პოლიტიკოსებთან ან გავლენიან ადამიანებთან არ იკვეთება.

- მაია ვაჩაძის შვილი, ნიკო დათეშიძე, არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ცენტრის რეფერენტი.
- მეუღლის და, მანანა დათეშიძე, საჩხერის რაიონული სასამართლოს სპეციალისტია.

5.

კანდიდატის საჯარო აქტივობები / კოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელში Facebook, თუმცა არ აფიქსირებს საჯარო მოსაზრებებს თავის გვერდზე.

2. მაია ვაჩაძის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

2017 წლის 5 აპრილს მაია ვაჩაძემ, როგორც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმის ერთ-ერთმა განხილველმა მოსამართლემ, განაცხადა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლებრივად, კერძოდ, „მატერიალურ-სამართლებრივად და პროცესუალურ-სამართლებრივად, პრობლემა არ აქვს. გადაწყვეტილება არის დასაბუთებული და კანონიერი“.¹ ამ საქმესთან დაკავშირებით, მან ასევე აღნიშნა: „შემიძლია, პატიოსნად განვიმარტოთ, რომ არანაირი კომუნიკაცია ჩემთან არავის ჰქონია“.²

მაია ვაჩაძემ დამატებით მიუთითა:



საქმეში ყველა მტკიცებულებაზე არის ყურადღება გამახვილებული და ყველა მტკიცებულება არის საყოველთაოდ ცნობილი მტკიცებულება, რომელსაც მხარის მიერ დამატებითი მტკიცება არ სჭირდება. მთავარია, რომ მან ის მიუთითა. პირველი ის, რომ მის მიერ წარდგენილია მითითება იმის შესახებ, რომ 2008 წელს სახელმწიფო დეპარტამენტს ჰქონდა ამაზე ინფორმაცია. ეს ინფორმაცია დევს სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე და ეს არის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებსაც დამატებით მტკიცება მხარის მიერ არ სჭირდება. შემდგომ, ეს არის პარ-

¹ „სამართლებრივად, გადაწყვეტილებას პრობლემა არ აქვს“ – მოსამართლე მაია ვაჩაძის განმარტებები რ2-ის საქმეზე“, 2017 წლის 5 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/184807/>

² იქვე.



ლამენტის აქტი. იძულების საკითხთან დაკავშირებით შეფასება პარლამენტის მიერ გაკეთებულია. იძულება არის სამართლებრივი შეფასება და არა ფაქტი. მოსამართლე, პარლამენტი, აკეთებს ამ ფაქტის სამართლებრივ შეფასებას. ასევე არის პოლიტიკური თავშესაფარი, რომელიც მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისაგან; ასევეა ის დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილი იყო პროკურატურაში მის მიერ საჩივრის წარდგენასთან მიმართებაში“.³

მაია ვაჩაძემ ისაუბრა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დაკომპლექტების თარიღთან მიმართებითაც და აღნიშნა, რომ იურისტებს ოფიციალური შეტყობინების გარეშეც უნდა სცოდნოდათ, ვინ იქნებოდა დიდი პალატის შემადგენლობაში, რადგან ეს საკითხი კანონით არის განსაზღვრული. მისივე მითითებით, „რუსთავი 2“-ის იურისტებმა „შესანიშნავად იცოდნენ შემადგენლობა“ და კანონის არცოდნა გამართლებული არ არის.⁴

2.2. განცხადება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების განსაზღვრული ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნაზე.

მაია ვაჩაძემ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეებთან ერთად, 2019 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტს მიმართა, რომ განეხილა უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების განსაზღვრული ვადის განუსაზღვრელ ვადად (საპენსიო ასაკის მიღწევამდე) გარდაქმნის საკითხი. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია:



საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვალოდ არჩევას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უვალო მანდატით გამწვანება მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა, რაც საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის მონაპოვარია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვალოდ არჩევის წესი და პირობები. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უვალოდ გადანიშვნის საკითხი ამ კანონის რეგულირების მიღმა დარჩა. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და გამწვანების შესახებ“ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული 2019 წლის 16 აპრილის დასკვნით, საქართველოს პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც: „პარლამენტმა უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების უფლებამოსილების განსაზღვრული ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნის საკითხი. აღნიშნული აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ, სულ მცირე, 11-მა გამოცდილმა მოსამართლემ გააგრძელოს უზენაეს სასამართლოში საქმიანობა, რითაც (ა) გარკვეულნილად შემსუბუქდება ის შედეგი, რომელიც ახლავს პარლამენტის მიერ სრულიად ახალი უზენაესი სასამართლოს შექმნას და (ბ) გამოცდილი მოსამართლეების გარკვეული რაოდენობა და არა მხოლოდ ახლადარჩეული მოსამართლეები, განიხილავს საქმეებს, რაც ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და თანმიმდევრულობას“.⁵

მოსამართლე მაია ვაჩაძემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ეტაპზე აღნიშნა, რომ ამ საკითხზე პარლამენტს მასთან არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია. შესაბამისად, მან გადაწყვიტა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში მონაწილეობა.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მიმართავენ პარლამენტს, რომ განიხილოს მოსამართლეთა უფლებამოსილების განსაზღვრული ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნის საკითხი, 2019 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: <http://www.info9.ge/samarthali/209>

3. კანდიდატ მათა ვაჩაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში



საბჭოს წევრის, რემზზ ნაღარაძის შეკითხვა კანდიდატ მათა ვაჩაძეს: „სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და კონკრეტული მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვას შორის?“

მათა ვაჩაძის პასუხი:



შეზღუდვა, რომელიც ეხება მოსამართლის ავტორიტეტს და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას, კონკრეტულად მისი სუბიექტი არის სასამართლო ხელისუფლება და მოსამართლე. რაც შეეხება პატივს, ერთ-ერთი შეზღუდვა, სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, კონკრეტულად ამ მუხლშია, სადაც წერია: „სხვა ადამიანთა უფლებებისა და ღირსებისათვის.“ ანუ ამ ღირსების სუბიექტი არ არის კონკრეტულად მოსამართლე, არამედ ნებისმიერი მოქალაქე. მაგალითად, საქმეში „მარიამ ჯიჰარიანი საქართველოს წინააღმდეგ“ ეს ქალბატონი გახლდათ უფლებადამცველი და სწორედ მისი პატივი და ღირსება იქნა უფრო მაღლა დაყენებული, ვიდრე თანამდებობის პირის გამოხატვის თავისუფლება.“



საბჭოს წევრის, ირაკლი შინგელიას შეკითხვა კანდიდატს: „ხშირად გავგივია, რომ სასამართლო სისტემას მართავს გავლენიანი ჯგუფი. რა არის ეს, თქვენი მოსაზრებით?“

მათა ვაჩაძემ მაგალითად მოიყვანა საქმე ჟურნალისტის ფრაზასთან დაკავშირებით, რომ „სასამართლოს მართავენ შუა საუკუნის მასონები“, რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა. მან დამატებით აღნიშნა:



რა თქმა უნდა, ეს ტერმინები არ არის გამართლებული. ყველა სახელმწიფოს თავისი დამოკიდებულება აქვს გამოხატვის ფორმასთან დაკავშირებით, თუმცა, შეფასებითი თვალსაზრისით, ჟურნალისტს ძალიან დიდ გამოხატვის საშუალებას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.“



საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: „უმენაესი სასამართლოს მოსამართლეების რაოდენობასთან, კერძოდ, 20 მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით, რა თქვა ვენეციის კომისიამ და თქვენ რას ფიქრობთ?“

მათა ვაჩაძის პასუხი:



თუ იქნება ღირსეული კანდიდატი, ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რაც მეტი, მით უკეთესი. გამოვდივარ იმ ინტერესებიდან, როგორც მოქმედი მოსამართლე, რომელიც იქ არის და ხედავს არსებულ მდგომარეობას. ძალიან მტკივნეულია, რომ საქმეთა რაოდენობის გამო, ხშირად საქმემდე ვერ მიდიხარ. ჩვენი ტელეფონები არ ცხრება, ყველა მოქალაქე ითხოვს თავისი საქმის გადწყვეტას. იმ მოსაზრებას, რომ უკეთესია, თუ 20 მოსამართლე არ დაინიშნება, აქვს ალბათ უფრო პოლიტიკური დატვირთვა, რომ ამ ხელისუფლების პერიოდში მოხდეს გარკვეული რაოდენობის [დანიშვნა], და როცა ახალი ხელისუფლება მოვა, გარკვეული რაოდენობის დანიშვნა მოხდეს მაშინ. მე ვთვლი, რომ, თუ ღირსეული კანდიდატია, მისი დანიშვნა შეიძლება დღესაც.“



ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: „2017 წლის 14 იანვარს თქვენმა კოლეგებმა, ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ, გააკეთეს განცხადება. მაშინ ისინი განიხილავდნენ „რუსთავი 2“-ის საქმეს და, შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით, მაშინ დაიწყო გამოძიება. თქვენ ხართ გარემოს ნაწილი, გსმენიათ მაშინ ამასთან დაკავშირებით? რა განწყობებია ამასთან დაკავშირებით უმენაეს სასამართლოში და თუ გქონიათ შეხება ისეთ ფორმებთან, როგორცაა ზეწოლა მოსამართლეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



ეს უნდა კონკრეტულ ინციდენტს, რომელიც მათ მიმართ განხორციელდა და მათ განცხადება გააკეთეს. ამაში ჩაღრმავებული ნამდვილად არ ვარ, რადგან მათ ამის აფიშირება არ გაუკეთებიათ სხვა მოსამართლეებთან მიმართებაში. ეს გაკვრით ითქვა საქმის განხილვის დროსაც.“



საბჭოს წევრის, ნაზი ჰანუმბაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ამდენი წელია, სისტემაში მუშაობთ და მაინტერესებს, რომ შეაფასოთ 2012 წლამდე პერიოდი სასამართლო სისტემაში და შემდგომი პერიოდი. შეიცვალა თუ არა რამე სასამართლო დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, რა შეიცვალა და რატომ?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



სასამართლოს დამოუკიდებლობა განისაზღვრება ინსტიტუციონალურად. მის დამოუკიდებლობას განსაზღვრავს კანონი. სასამართლო ხელისუფლება არის დამოუკიდებელი ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ წლების განმავლობაში არ გვყავდა უვადოდ დანიშნული მოსამართლეები და ამ უვადოდ დანიშნულ დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტიები შექმნა, რადგან უვადოდ დანიშვნა ერთ-ერთი მყარი გარანტიაა დამოუკიდებლობისა, უკვე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვისაც, მითუმეტეს, რომ მათი გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. მე 1984 წლიდან ვიცნობ სასამართლო სისტემას, გავიარე ძალიან ბევრი ცვლილება და რეფორმა და არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემა არ განიცდის განვითარებას და არ არის უკეთესი, ვიდრე იყო გუშინ.“



ნაზი ჰანუმბაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ იყავით ზეგავლენის ქვეშ ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებით და როგორ გაუმკლავდით ამ შემთხვევას?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



ჩემმა ერთმა რეკომენდატორმა დაწერა ჩემი ნაკლი, რომ ვარ მძაფრი პოლემისტი. იმ საკითხზე, რომელზეც მაქვს ჩამოყალიბებული აზრი და ვთვლი, რომ ჩემი აზრი უფრო საფუძვლიანია, ამასთან დაკავშირებით მე ან გადანყვეტილებას მივიღებ, ან განსხვავებულ აზრს დავწერ. [...] მე ორ შემადგენლობაში ვმონაწილეობდი და ეს საკითხი ყოველთვის არის, როგორ უნდა გადანყვედე საქმე. გულწრფელად შემიძლია გითხრა, რომ ჩემი აზრის დასაბუთებისთვის, გადანყვეტილების მიღებისთვის, მე ყოველთვის მიბრძოლია და გამიმარჯვია კიდევ ჩემს კოლეგებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 1995 წლიდან დღემდე ურთულესი პერიოდები გავიარეთ და ყველა პერიოდს თავისი სირთულე გააჩნდა, ჩვენ ვცდილობდით, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ვყოფილიყავით. გულწრფელად რომ გითხრა, რომელიმე გადანყვეტილებაზე, რომ მკვეთრად პრობლემურია, ან მიკერძოებული ვიყავით, ან მსგავსი, ასე არ ყოფილა. თუმცა, რა თქმა უნდა, არის გადანყვეტილებები, რომლებიც საჩივრდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.“



საბჭოს წევრის, თამარ ონიანის შეკითხვა კანდიდატს: „რა მნიშვნელობა აქვს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განსხვავებულ აზრს, ვინ არის ამ განსხვავებული აზრის ადრესატი?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



მე რამდენიმე განსხვავებული აზრი დამინერია ჩემი სამოსამართლო შემოქმედების განმავლობაში, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეზე დიდ პალატაში. მოსამართლე, ჩვენ ვამბობთ, რომ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და იგი ეფუძნება ცოდნას და შინაგან რწმენას. შინაგან რწმენას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა იმისათვის, რომ გადანყვეტილება მიიღო და მართალი იყო შენი გადანყვეტილების მიმართ... განსხვავებულ აზრს აქვს თავისი დატვირთვა. ჯერ ერთი, შენ ამ ნორმას სხვაგვარად ხედავ. ჩემთვის კარგი, გამოცდილი მოსამართლე არის

ის, ვინც მრავალ ნახნაგს ხედავს, ამიტომ, შეიძლება ის ხედავდეს იმ ნახნაგს, რომელიც დღეს მისაღები არ არის მისი კოლეგებისათვის, მაგრამ მე ვთქვი, რომ სამართალი ვითარდება და შეიძლება ათი წლის შემდეგ ის გადანყვეტილება მიიღოს ყველა დანარჩენმა. ჩემი მოსაზრებით, განსხვავებულ აზრს აქვს თავისი ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა სამართლის განვითარებისთვის, თუმცა იგი, რა თქმა უნდა, შედეგის მომტანი არ არის მხარისთვის.“



საბჭო წევრის, ნაზი ჰანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ამდენი ხნის განმავლობაში, თუ ყოფილა შემთხვევა, გაგეგოთ ინფორმაცია ე.წ. „თათბირების“ შესახებ? თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ გარკვეულ მოსამართლეებთან იმართებოდა შეხვედრები და ა.შ.“

მაია ვაჩაძის პასუხი:



ნამდვილად ვერ გეტყვით, რომელიმე მოსამართლის მიმართ თუ ყოფილა ეს. თუმცა, განხილვები ყოფილა კოლეგებში. სხვა ინდივიდუალურ შემთხვევებში ამ საკითხზე არ მსმენია. ამ საკითხზე არც არავინ საუბრობს. მე შემიძლია, მხოლოდ ჩემს თავზე ვისაუბრო.“



ნაზი ჰანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენ მუშაობდით უზენაეს სასამართლოში, მაშინაც, როდესაც მიხეილ ჩინჩალაძე იყო მოსამართლე. რამდენად გქონდათ მასთან პროფესიული შეხება და როგორ ადამიანად დაახასიათებდით? მოგეხსენებათ, იგი საკმაოდ გავლენიანი პირია დღეისათვის სასამართლო სისტემაში.“

მაია ვაჩაძის პასუხი:



მიხეილ ჩინჩალაძე გახლდათ ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე და მე გახლდით ამ პალატის წევრი. პროფესიით მოსამართლეს უფროსი არ ჰყავს, თავისი თავის უფროსი არის მოსამართლე. თუ მას აქვს მაღალი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, თავისი შინაგანი ნმენა და, ამის გარდა, ავტორიტეტი, მას უფროსი არ ჰყავს. ის იყო პალატის თავმჯდომარე, მაგრამ არ იყო ჩემი საქმის უფროსი. ბატონი მიმას თვისებებიდან მე გამოვყოფდი ორს: ორგანიზატორული ნიჭი და თანადგომა.“



ნაზი ჰანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თუ გსმენიათ თქვენი კარიერის განმავლობაში თქვენი კოლეგების შესახებ, რომლებიც გაათავისუფლეს მოსამართლეობის თანამდებობიდან დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად, რაც, ფიქრობთ, რომ იყო უსამართლო? ასეთი მაგალითებისათვის თუ მიგიქცევიათ ყურადღება?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



რა თქმა უნდა, ჩვენ ირგვლივ იყო ასეთი შემთხვევები, მაგალითად, მოსამართლეების გათავისუფლება კანონის უხეში დარღვევის საფუძვლით. ამ საფუძვლის ფართო ინტერპრეტაციის პირობებში, მე ვფიქრობ, რომ ეს იყო [სასჯელის] მაღალი სახე და მოცემულ პირობებში შეიძლებოდა საყვედურიც შემოვფარგულიყავით, რადგან არ არის საჭირო ყოველთვის გათავისუფლება, შეიძლება იყოს მკაცრი საყვედური ან საყვედური.“



ნაზი ჰანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ლევან მურუსიძემ განაცხადა გასაუბრებაზე, რომ იგი არის სასამართლოს ლიდერი. თქვენ მოგიწიათ მასთან მუშაობა და ალბათ თქვენთვის უფრო ადვილია ამის შეფასება. როგორ აღიქვით ეს, როგორც მოსამართლემ: სასამართლოს უნდა ჰყავდეს თუ არა ერთი ლიდერი? რას ნიშნავს ეს და როგორ აღიქვით ეს განცხადება?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



ტერმინი „ლიდერი“ უფრო შეესაბამება პოლიტიკურ საქმიანობას. რაც შეეხება ბატონ ლევანს, ჩემი მოსაზრებით (შეიძლება ვცდები), მას უნდოდა ეთქვა, რომ აქვს ავტორიტეტი და ამიტომ არის მოსამართლეთა წარმომადგენელი. ჩემი მოსაზრებით, ბატონი ლევანი არის მოსამართლეთა წარმომადგენელი, იყო წლების განმავლობაში მოსამართლეთა წარმომადგენელი, იყო საბჭოს მდივანი.“



ნაზი ჰანემგაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, მოგეხსენებათ, ირჩევს კონფერენცია. ერთ-ერთ ბოლო კონფერენციაზე, როდესაც ირჩევდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრს, ისე აირჩიეს, რომ იგი სიტყვით არ გამოსულა და მიიღო 260 ადამიანის მხარდაჭერა. თქვენ რითი ახსნით ამ მიდგომას, როგორც მოსამართლე? სისტემის ნაწილი ხართ უკვე 20 წელზე მეტია და ალბათ რაღაც ახსნა აქვს ამ მოვლენას, რომელიც ჩემთვის ცოტა ძნელად გასაგებია. თქვენ როგორ ახსნით, როგორ შეიძლება აირჩიოს კონფერენციაზე 260-მა ადამიანმა საბჭოს წევრად პირი, რომელსაც უბრალოდ გამარჯობაც კი არ უთქვამს, ტრიბუნაზე არ გამოსულა. რა კრიტერიუმებით ხდება არჩევა რეალურად, რა საფუძვლები დგას ამის უკან?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



ალბათ თითოეულ მოსამართლეს ამ კანდიდატზე წარმოდგენა ჰქონდა. ჩვენ ხომ მოსამართლეები ვართ. [...] მე გულწრფელად შემიძლია გითხრათ, ყველა მოსამართლეს ვიცნობ, განსაკუთრებით, ადმინისტრაციული საქმის განხილველ მოსამართლეებს და ჩვენ, ასე თუ ისე, მაინც ერთი კოლექტივი ვართ. შეიძლება ეს სიტყვა არ არის შესატყვისი, არ ვიცი, მაგრამ ეს არის ერთი, ასე ვთქვათ, მოსამართლეთა ხელისუფლება. რა თქმა უნდა, მოსამართლე უნდა გამოვიდეს და თავისი ანგარიში თქვას, თუმცა, რადგან არ გამოვიდა, ამიტომ არ აქვს ავტორიტეტი, ამას ვერ დავეთანხმები. ე.ი. მან ხმები თავისი ავტორიტეტით მოიპოვა. ასევე შეიძლება გამოვიდეს და ილაპარაკოს ადამიანმა 3 საათი და მოიპოვოს 60 ხმა, ან საერთოდ არაფერი თქვას და 260 ხმა მოიპოვოს. განმსაზღვრელი მოცემულ შემთხვევაში არ არის ის, რომ არ გამოვიდა, განმსაზღვრელია მისი ავტორიტეტი.“



ნაზი ჰანემგაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ზოგადად იმ პროცესებთან მიმართებით, რაც სასამართლო სისტემაში ხდება. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სისტემაში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი, ე. წ. „კლანი“. გსმენიათ თუ არა ამის შესახებ, ან გაგიაგიათ თუ არა რამე, რაც ამაში დაგარწმუნებდათ ან არ დაგარწმუნებდათ?“

მაია ვაჩაძის პასუხი:



კლანი ალბათ ისეთი გამოთქმაა, რომელიც დღევანდელ სიტუაციას სასამართლოში არ შეესაბამება. თუმცა, მე ვთვლი, რომ გარკვეული ავტორიტეტი ზოგ მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს შედარებით უფრო მაღალი, ვიდრე სხვას, და ამიტომ, იგი არის მოსამართლეთა წარმომადგენელი. მაგალითად, მე ასე ვფიქრობ, რომ იუსტიციის საბჭოში მოსამართლე მოხვდება, თუ მას აქვს ავტორიტეტი. იუსტიციის საბჭოს მდივანი ალბათ არის წარმომადგენლობითი პირი მოსამართლეების, რომელსაც აქვთ ავტორიტეტი. რომ არ ჰქონდეს ავტორიტეტი, ალბათ მოსამართლეები, ჩვეულებრივ, მას არ მისცემდნენ თავის მანდატს, რომ გახდეს იუსტიციის საბჭოს მდივანი. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ არის საკითხი, როდესაც მოსამართლეს უნდა, რომ თანამდებობაც ეჭიროს და იყოს მოსამართლეც. გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა არის მოსამართლეობა და საქმის განხილვა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ისე, როგორც სამედიცინო სფეროშია, არის ექიმი, რომელიც 24 საათი საოპერაციო მაგიდასთან დგას, და არის ექიმი, რომელიც განყოფილების გამგეა, საოპერაციო მაგიდასთან არ დგას, და ვერ დავაკნინებთ მას, რადგან ის არ დგას საოპერაციო მაგიდასთან. იგივე მინდა გითხრათ, რომ სასამართლოშიც ჩვენ, დღეის მდგომარეობით, ყველა ვიხილავთ საქმეებს. თუ მეტ-ნაკლებად ვიღაც ცოტას იხილავს და ვიღაც ბევრს, ამ გაგებით არ შემიძლია ვთქვა, რომ ის არის კლანი.“

6.

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)



2017
ბინის ნაკვეთი მცხეთაში
25,800 ლ,
1800 კვ.მ



2015
ავტოფარეხი თბილისში
14,280 ლ
18 კვ.მ



2015
სარდაფი თბილისში
9,520 ლ
12 კვ.მ.



2010
სახლი ჭიათურაში მემკვიდრეობა
(85 კვ.მ)



2009
ავტოფარეხი თბილისში
2,505 ლ
18 კვ.მ.



2009
ბინა თბილისში
71,476 ლ
(107 კვ.მ.)



2008
ბინა თბილისში
62,580 ლ
(134 კვ.მ.)



2008
ავტოფარეხი თბილისში
2,235 ლ
24 კვ.მ



2008
ბინის ნაკვეთი ჭოროვილაში
5,000 ლ (1500 კვ.მ.)



1993
ბინა თბილისში
\$ 7,000
(95 კვ.მ.)



1993
ავტოფარეხი თბილისში
\$ 500
21 კვ.მ.

2. ფინანსები

მაია ვაჩაძე ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსამართლეა. 2010-2016 წლებში სასამართლო სისტემიდან, ანაზღაურების სახით, მიღებული აქვს 872,406 ლარი. ყველაზე მაღალი შემოსავალი - 123,768 ლარი - გამოიმუშავა 2017 წელს. კანდიდატის მეუღლე, პაატა დათეშიძე, წლების განმავლობაში დასაქმებული იყო სხვადასხვა კომპანიაში. ამჟამად, იგი შპს „ბილდ არტის“ 60%-იანი წილის მფლობელია.


მოსამართლე მაია ვაჩაძესა და მის მეუღლეს, 2019 წლის დეკლარაციის მიხედვით, მიმდინარე საბანკო ვალდებულება არ უფიქსირდებათ



2010
ავტომობილი
MERCEDES
8,900 ლ



2016
ავტომობილი
MERCEDES
23,381 ლ





მოსამართლე მანია ვაჩაძე ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას და 5 წლის განმავლობაში სწავლის საფასურს უხდიდა სტუდენტ გიორგი ოდიშარიას, რაშიც, ჯამურად, 11,445 ლარი დახარჯა. სავარაუდოდ, გიორგი ოდიშარია მისი შვილების მეგობარია და, სწავლის პარალელურად, სააპელაციო სასამართლოში დაიწყო მუშაობა.



ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე
რედაქტორები: დავით კაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბენიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხათია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ